

შპს “ქუთაისი ჰოტელ სერვისი”

ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე
და საშუალო საწარმოებისთვის (IFRS for SMEs)

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბერი

სარჩევი

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება

ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება	1
მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება.....	2
კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება	3
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება	4

ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგების შენიშვნები:

1	შპს ქუთაისი ჰოტელ სერვისი და მისი საქმიანობა	5
2	მომზადების საფუძვლები	5
3	მნიშვნელოვანი სააღივცხვო პოლიტიკების მიმოხილვა	5
4	ძირითადი საშუალებები	10
5	ფული და ფულის ეკვივალენტები.....	11
6	შემოსავალი კატეგორიების მიხედვით	11
7	სხვა საოპერაციო ხარჯები	11
8	საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები	11

შპს „ქუთაისი ჰოტელ სერვისი“
ფინანსური მდგომარეობის ინდივიდუალური ანგარიშგება

შენიშვნა	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019	1 იანვარი 2019
აქტივები			
გრძელვადიანი აქტივები			
ძირითადი საშუალებები 4	11,356	15,778	3,089
სხვა გრძელვადიანი აქტივები	26,353	3,947	3,947
სულ გრძელვადიანი აქტივები	37,709	19,725	7,036
მიმდინარე აქტივები			
სავაჭრო მოთხოვნები	34,541	70,368	101,064
მარაგები	189,180	219,533	103,250
სხვა მიმდინარე აქტივები	10,731	33,970	28,596
ფული და ფულის ეკვივალენტები 5	25,803	229,019	180,992
სულ მიმდინარე აქტივები	260,254	552,890	413,902
სულ აქტივები	297,963	572,615	420,938
კაპიტალი			
საკუთარი კაპიტალი	-	-	-
გაუნაწილებელი მოგება	(61,000)	278,748	9,156
სულ კაპიტალი	(61,000)	278,748	9,156
ვალდებულებები			
გრძელვადიანი ვალდებულებები			
სესხები	1,150	1,150	1,150
სულ გრძელვადიანი ვალდებულებები	1,150	1,150	1,150
მიმდინარე ვალდებულებები			
სავაჭრო ვალდებულებები	341,218	271,959	355,365
სხვა ვალდებულებები	16,595	20,758	55,266
სულ მიმდინარე ვალდებულებები	357,813	292,717	410,631
სულ ვალდებულებები	358,963	293,867	411,781
სულ ვალდებულებები და კაპიტალი	297,963	572,615	420,938

მენეჯმენტის მიერ გამოსაშვებად დამტკიცებული და ხელმოწერილია 2021 წლის 1 ოქტომბერს

ქეთევან მიქაშავიძე
დირექტორი

5-დან 11-მდე გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს “ქუთაისი ჰოტელ სერვისი”

მოგება-ზარალისა და სხვა სრული შემოსავლის ინდივიდუალური ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
შემოსავალი	6	1,042,082	3,387,497
შრომის ანაზღაურება		(231,432)	(317,616)
იჯარის ხარჯი		(540,572)	(1,210,002)
სხვა საოპერაციო ხარჯები	7	(640,193)	(1,596,054)
საოპერაციო მოგება		(370,114)	263,826
საპროცენტო ხარჯი		-	-
ვალუტის კურსის სხვაობა		12,217	5,766
მოგება მოგების გადასახადამდე		(339,748)	269,592
მოგების გადასახადის ხარჯი		-	-
წლიური მოგება		(339,748)	269,592
სხვა სრული შემოსავალი		-	-
სულ წლის სრული შემოსავალი		(339,748)	269,592

5-დან 11-მდე გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ქუთაისი ჰოტელ სერვისი“
 კაპიტალში ცვლილების ინდივიდუალური ანგარიშგება

შენიშვნა	საკუთარი კაპიტალი	გაუნაწილებელი მოგება	სულ
ნაშთი 31 დეკემბერი 2019	-	278,748	278,748
წლის მოგება	-	(339,748)	(339,748)
საკუთარი კაპიტალის ცვლილება	-	-	-
ნაშთი 31 დეკემბერი 2020	-	(61,000)	(61,000)

5-დან 11-მდე გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

შპს „ქუთაისი ჰოტელ სერვისი“
ფულადი ნაკადების ინდივიდუალური ანგარიშგება

	შენიშვნა	2020	2019
წმინდა ფულადი სახსრები საოპერაციო საქმიანობიდან		213,993	58,321
წმინდა ფულადი სახსრები საინვესტიციო საქმიანობიდან		-1,440	-16,060
წმინდა ფულადი სახსრები ფინანსური საქმიანობიდან		-	-
სავალუტო კურსის ეფექტი		12,217	5,766
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის დასაწყისში		229,019	180,992
ფული და ფულის ეკვივალენტები წლის ბოლოს		25,803	229,019

5-დან 11-მდე გვერდებზე თანდართული შენიშვნები წარმოადგენს ამ ფინანსური ანგარიშგების განუყოფელ ნაწილს.

1 შპს ქუთაისი ჰოტელ სერვისი და მისი საქმიანობა

წინამდებარე ინდივიდუალური ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია შპს ქუთაისი ჰოტელ სერვისისთვის (შემდგომში - „კომპანია“) ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტების მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) და „ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ“ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად 2020 წლის 31 დეკემბრით დასრულებული წლისთვის.

კომპანია დარეგისტრირებულია 2017 წლის 14 დეკემბერს შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოების სახით (სარეგისტრაციო და საგადასახადო ნომერი: 405243794; დარეგისტრირებული თბილისის საგადასახადო ინსპექციის მიერ) საქართველოს სამართლის შესაბამისად და მოქმედებს საქართველოში.

2020 წლის 31 დეკემბრის მდგომარეობით კომპანია ეკუთვნის: შპს ქობალს (ს/კ 404388015) (50%), რომლის საბოლოო მაკონტროლებელი ფიზიკური პირია უჩა ქართველშვილი და ფიზიკურ პირ ნატო მალრაძეს (01008028054) (50%).

ძირითადი საქმიანობა. კომპანიის ძირითადი საქმიანობაა საქართველოში, ქუთაისში მდებარე სასტუმრო “Best Western Kutasi”-ს ოპერირება.

ბიზნესის წარმოების ადგილი და რეგისტრირებული მისამართი. კომპანიის რეგისტრირებული მისამართი: საქართველო, თბილისი, ვაკის რაიონი, ზაქარია ფალიაშვილის ქ., №55, ბ. 14, ხოლო საქმიანობის ადგილი: ქუთაისი, საქართველო, ქ. ქუთაისი, ქუჩა გრიშაშვილი, N 11 / ქუთაისი, ქუჩა ყაუხჩიშვილი, N 1, ნაკვეთი N1

საპრეზენტაციო ვალუტა. ყველა თანხა წინამდებარე ფინანსურ ანგარიშგებაში წარმოდგენილია ქართულ ლარში („ლარი“), გარდა საგანგებოდ აღნიშნულისა.

2 მომზადების საფუძვლები

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტები მცირე და საშუალო საწარმოებისთვის (მსს ფასს) და ბუღალტრული აღრიცხვის, ანგარიშგებისა და აუდიტის შესახებ საქართველოს კანონის მოთხოვნების შესაბამისად, ისტორიული ღირებულების საფუძველზე, ფინანსური ინსტრუმენტების სამართლიანი ღირებულებით თავდაპირველი აღიარების შემდგომი ცვლილების გათვალისწინებით. ქვემოთ ჩამოთვლილია წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების მომზადებისას გამოყენებული ძირითადი სააღრიცხვო პოლიტიკები, რომლებიც თანმიმდევრულად ვრცელდება ყველა წარმოდგენილ პერიოდზე, გარდა საგანგებოდ აღნიშნულისა.

3 მნიშვნელოვანი სააღრიცხვო პოლიტიკების მიმოხილვა

ვალუტის გაცვლა. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის იმ ძირითადი ეკონომიკური გარემოს ვალუტა, რომელშიც კომპანია ახორციელებს საქმიანობას. კომპანიის ფუნქციონალური ვალუტა არის საქართველოს ეროვნული ვალუტა - ლარი (“ლარი”, “GEL”)

ტრანსაქციები და ნაშთები. ფულადი აქტივები და ვალდებულებები გადაიყვანება კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში საანგარიშო პერიოდის დასრულების თარიღისთვის მოქმედი, საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსის შესაბამისად. საკურსო სხვაობის მოგება და ზარალი, რომელიც წარმოიქმნება ტრანზაქციების ანგარიშსწორების და ფულადი აქტივებისა და ვალდებულებების კომპანიის ფუნქციონალურ ვალუტაში გადაყვანის შედეგად წლის ბოლოს საქართველოს ეროვნული ბანკის (სებ) მიერ დადგენილი ოფიციალური გაცვლითი კურსით, აღიარებულია მოგებაში ან ზარალში, როგორც ფინანსური მოგება ან ხარჯი. ვალუტის გადაცვლა წლის ბოლოს განაკვეთებით არ გამოიყენება არაფულად ერთეულებზე,

რომლებიც შეფასებულია თავდაპირველი ღირებულებით.

2020 წლის 31 დეკემბერს საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ განსაზღვრული ოფიციალური გაცვლითი კურსი შეადგენდა: 1 აშშ დოლარი (“USD”) = 3.2766 ლარი (2019: 1 აშშ დოლარი (“USD”) = 2.8677 ლარი) და 1 ევრო (“EUR”) = 3.2095 ლარი (2018: 1 აშშ დოლარი (“USD”) = 2.6766 ლარი) და 1 ევრო (“EUR”) = 3.0701 ლარი). ამჟამად, ქართული ლარი არ წარმოადგენს თავისუფლად კონვერტირებად ვალუტას უმეტეს ქვეყნებში საქართველოს ფარგლებს გარეთ.

ძირითადი საშუალებები. ყველა ძირითადი საშუალებები აისახება პირველადი ღირებულებით დაგროვილი ამორტიზაციისა და გაუფასურების რეზერვის გამოკლებით, სადაც აუცილებელია. დაუმთავრებელი მშენებლობის ანგარიში შედგება დაუმონტაჟებელი მოწყობილობებისა და აქტივებისაგან, რომლებიც მომავალში გამოიყენება როგორც ქონება და აღჭურვილობა.

შემდგომი ხარჯები შეიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაში ან აღიარდება ცალკე აქტივის სახით, გარემოებიდან გამომდინარე, მხოლოდ მაშინ, როდესაც არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ კომპანია კომპანია მიიღებს ამ მუხლთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს და ობიექტის ღირებულება შეიძლება იყოს უტყუარად შეფასებული. მცირე რემონტისა და მიმდინარე მომსახურების ხარჯები მიეკუთვნება ხარჯებს მათი წარმოქმნისას. ძირითადი ნაწილებისა ან მათი კომპონენტების შეცვლის ღირებულება ექვემდებარება კაპიტალიზაციას, ხოლო ჩანაცვლებული ნაწილი ჩამოიწერება.

ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს მენეჯმენტი აფასებს ძირითადი საშუალებების გაუფასურების ნიშნებს. თუკი ასეთი ნიშნები არსებობს, მენეჯმენტი აფასებს ანაზღაურებად ღირებულებას, რომელიც განისაზღვრება როგორც უმეტესი აქტივის სამართლიან ღირებულებას გამოკლებული რეალიზაციის ხარჯების ოდენობასა და აქტივის გამოყენების ღირებულებას შორის. საბალანსო ღირებულება მცირდება ანაზღაურებად თანხამდე, ხოლო გაუფასურებისგან ზარალი აისახება წლის მოგება-ზარალში. აქტივისთვის წინა წლებში აღიარებული გაუფასურებიდან ზარალი ექვემდებარება აღდგენას საჭიროებისამებრ, თუკი მოხდა ცვლილებები იმ შეფასებებში, რომლებიც გამოიყენება როდესაც ხდება განსაზღვრა აქტივის გამოყენების ღირებულებისა ან სამართლიანი ღირებულებისა, რომელსაც აკლდება რეალიზაციის დანახარჯები.

ძირითადი საშუალებების რეალიზაციიდან წარმოქმნილი მოგება-ზარალი განიზღვრება შემოსავლის საბალანსო ღირებულებასთან შედარებით და აღიარდება წლის მოგება-ზარალში სხვა შემოსავლის მუხლში.

ცვეთა . მიწა არ ექვემდებარება ცვეთას. ძირითადი საშუალებების სხვა ცვეთა გამოითვლება წრფივი მეთოდით, რაც გულისხმობს ცვეთი ხარჯების მიკუთვნებას ნარჩენ ღირებულებაზე გამოყენების სავარაუდო ვადის მიხედვით:

მომსახურების ვადა (წლები)

ძირითადი საშუალებები:

აღჭურვილობა და საოფისე ინვენტარი

3 - 8

ფინანსური აქტივების კლასიფიკაცია. კომპანია ფინანსური აქტივების კლასიფიკაციას ახდენს “სესხებისა და დებიტორული მოთხოვნების” შეფასების კატეგორიაში. სესხები და დებიტორული მოთხოვნები არის არაკოტირებადი არაწარმოებული ფინანსური აქტივები ფიქსირებული ან განსაზღვრული გადახდებით გარდა ისეთი აქტივებისა, რომელთა გაყიდვასაც კომპანია აპირებს უახლოეს მომავალში.

ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაცია. კომპანია ფინანსური ვალდებულებების კლასიფიკაციას ახდენს “სხვა ფინანსური ვალდებულებების” შეფასების კატეგორიაში ამორტიზებული ღირებულების მიხედვით .

ფინანსური ინსტრუმენტების ურთიერთჩათვლა. ფინანსური აქტივები და ფინანსური ვალდებულებები ურთიერთჩათვლება და წმინდა თანხით აისახება ფინანსური მდგომარეობის ანგარიშში მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ ჯგუფს აქვს იურიდიული უფლება, განახორციელოს აღიარებული თანხების

ურთიერთჩათვლა და განზრახული აქვს მოახდინოს აქტივის ჩათვლა წმინდა ღირებულებით ან ერთდროულად მოახდინოს აქტივის რეალიზაცია და ვალდებულების დაფარვა. ურთიერთჩათვლის ამგვარი უფლება (ა) არ უნდა იყოს დამოკიდებული მომავალ მოვლენაზე და (ბ) სამართლებრივად აღსრულებადი უნდა იყოს ყველა შემდეგ გარემოებაში: (1) ბიზნესის ჩვეულებრივი მიმდინარეობისას, (2) დეფოლტის დროს და (3) გადახდისუუნარობის ან გაკოტრების დროს.

ფული და ფულის ეკვივალენტები. ფული და ფულის ეკვივალენტები მოიცავს ფულად სახსრებს სალაროში, მოთხოვნამდე საბანკო დეპოზიტებს და სხვა მოკლევადიან მაღალლიკვიდურ ინვესტიციებს დაფარვის სამი თვისა ან ნაკლები პირველადი ვადით. ფული და ფულის ეკვივალენტები აისახება ამორტიზირებული ღირებულებით.

მარაგები. მარაგები აღირიცხება თვითღირებულებასა და წმინდა რეალიზებად ღირებულებას შორის უმცირესით. მარაგების თვითღირებულება განისაზღვრება საშუალო შეწონილ საფუძველზე.

სავაჭრო და სხვა დებიტორული დავალიანება. სავაჭრო დებიტორული დავალიანების საწყისი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით და შემდგომში ამორტიზირებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

წინასწარი გადახდები. წინასწარი გადახდები აისახება თვითღირებულებით გაუფასურების რეზერვის გამოკლებით. წინასწარი გადახდის კლასიფიცირება ხდება როგორც გრძელვადიანისა, თუკი მოსალოდნელია, რომ წინასწარ გადახდას მიკუთვნილი საქონელი და მომსახურება იქნება მიღებული ერთი წლის შემდეგ ან როდესაც წინასწარი გადახდა მიკუთვნილია აქტივს, რომელიც თავად იქნება კლასიფიცირებული როგორც გრძელვადიანი საწყისი აღიარებისას. აქტივების შემენის წინასწარი გადახდა გადაიტანება აქტივის საბალანსო ღირებულებაზე მას შემდეგ, რაც კომპანიამ მიიღო აქტივზე კონტროლი და არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ კომპანია მიიღებს აქტივთან დაკავშირებულ მომავალ ეკონომიკურ სარგებელს. სხვა წინასწარი გადახდები ჩამოიწერება მოგებასა ან ზარალში წინასწარ გადახდასთან დაკავშირებული საქონლისა თუ მომსახურების მიღებისას. თუკი არსებობს იმის ნიშნები, რომ წინასწარ გადახდას მიკუთვნილი აქტივები, საქონელი ან მომსახურება არ იქნება მიღებული, წინასწარი გადახდის საბალანსო ღირებულება შესაბამისად ჩამოიწერება, ხოლო გაუფასურებიდან შესაბამისი ზარალი აისახება წლის მოგებასა ან ზარალში.

სავაჭრო და სხვა კრედიტორული დავალიანება. სავაჭრო კრედიტორული დავალიანების დარიცხვა ხდება, როდესაც კონტრაგენტი ასრულებს ხელშეკრულებით დაკისრებულ თავის ვალდებულებებს და საწყის ეტაპზე აღიარებულია სამართლიანი ღირებულებით, ხოლო შემდგომ აისახება ამორტიზირებული ღირებულებით, ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდის გამოყენებით.

სესხები. სესხების საწყისი აღიარება ხდება სამართლიანი ღირებულებით, დაერიცხება ტრანზაქციის ნეტო-დანახარჯები და შემდგომში აღირიცხება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით.

საოპერაციო იჯარა. თუკი კომპანია არის მოიჯარე იჯარის ისეთი ხელშეკრულებით, რომელიც არ გადასცემს ფლობასთან დაკავშირებულ ყველა რისკსა და სარგებელს მეიჯარისგან ჯგუფზე, საიჯარო გადახდების მთლიანი თანხა თანაბრად ჩამოიწერება წლის მოგება ან ზარალში იჯარის ვადის განმავლობაში. იჯარის ვადა არის პერიოდი, რომელიც არ ექვემდებარება გაუქმებას და რომელზედაც მოიჯარემ დადო აქტივის იჯარის ხელშეკრულება ნებისმიერი დანამატებით პირობებით, რომლისთვისაც მოიჯარეს უფლება აქვს გააგრძელოს აქტივის იჯარა შემდგომი გადახდით თუ მის გარეშე, როცა იჯარის დასაწყისში გონივრულად გარკვეულია, რომ მოიჯარე ისარგებლებს ამ ვარიანტით.

მოგების გადასახადი. მოგების გადასახადი წარმოდგენილია ინდივიდუალურ ინდივიდუალურ ფინანსურ ანგარიშგებაში კანონმდებლობის მიხედვით, რომელიც მიღებულია ან შევიდა ძალაში საანგარიშო პერიოდის ბოლოსთვის.

2016 წლის 13 მაისს საქართველოს მთავრობამ შეიტანა ცვლილება საქართველოს საგადასახადო კოდექსში, რომლის მიხედვითაც კომპანიები (ბანკების, საკრედიტო კავშირების, სადაზღვევო

კომპანიების, მიკროსაფინანსო ორგანიზაციების და ლომბარდების გარდა) არ უნდა გადაიხადონ მოგების გადასახადი მოგებიდან, რომელიც მიღებულია 2017 წლის 1 იანვრიდან, თუკი ეს მოგება არ იქნება განაწილებული ან გადახდილი დივიდენდების სახით. 15%-იანი მოგების გადასახადი უნდა იყოს გადახდილი მთლიანი ღირებულებით (ე.ი წმინდა დივიდენდების მთლიანი თანხა მიიღება 5%-იანი გადასახადის გამოქვითვით, თუკი გამოიყენება, და იყოფა 0.85-ზე) ფიზიკური პირებისთვის ან არარეზიდენტი იურიდიული პირებისთვის დივიდენდის გადახდისას.

გაურკვეველი საგადასახადო პოზიციები. კომპანიის გაურკვეველი საგადასახადო პოზიციების შეფასება მენეჯმენტის მიერ ხორციელდება ყოველი საანგარიშო პერიოდის ბოლოს. ვალდებულებები აისახება მოგების გადასახადის პოზიციებით, რომლებიც, მენეჯმენტის აზრით, დიდი შესაძლებლობით გამოიწვევს დამატებით გადასახადებს, თუკი საგადასახადო ორგანოები შეედავებიან კომპანიას ამ პოზიციებთან დაკავშირებით. შეფასება ეფუძნება იმ საგადასახადო კანონმდებლობის განმარტებას, რომელიც მოქმედებდა ან არსებითად შევიდა ძალაში საანგარიშო პერიოდის ბოლოს, და ნებისმიერ ცნობილ სასამართლო და სხვა დადგენილებას ამ საკითხებთან დაკავშირებით. ჯარიმებზე, პირგასამტეხლოსა და გადასახადებზე ვალდებულებები, მოგების გადასახადის გარდა, აისახება მენეჯმენტის მიერ ხარჯების საუკეთესო შეფასების საფუძველზე, რომელიც აუცილებელია საანგარიშო წლის ბოლოს ვალდებულებების დასარეგულირებლად. მოგების გადასახადის მხრივ გაურკვეველი პოზიციების კორექტირება აისახება მოგების გადასახადში

დამატებითი ღირებულების გადასახადი. გაყიდვებთან დაკავშირებული დამატებითი ღირებულების გადასახადი ექვემდებარება გადახდას საგადასახადო ორგანოებისთვის, თუკი უფრო ადრე მოხდა (ა) მომხმარებლებისგან დებიტორული დავალიანების ამოღება ან (ბ) მყიდველებისთვის საქონლისა თუ მომსახურების მიწოდება. შემოსავლელი დღე, როგორც წესი, ანაზღაურდება გასასვლელ დღე-სთან შედარებით დღე-ის ინვოისის მიღებისას. საგადასახადო ორგანოების მიერ ნებადართულია დღე-ის გადახდა ნეტო-საფუძველზე. ძირითადი საშუალებების ობიექტების შეძენასთან დაკავშირებული შემოსავლელი დღე ექვემდებარება გადავადებას 5-10 წლით იმ კომპანიებისთვის, რომელთა ბრუნვა აღემატება 20%-იანი დღე-სგან გათავისუფლებულ ოდენობას

საწესდებო კაპიტალი. კომპანიის გაცხადებული საწესდებო კაპიტალის ოდენობა განისაზღვრება კომპანიის აქციონერების მიერ. კომპანიის გაცხადებულ კაპიტალში ცვლილებები ხორციელდება მხოლოდ კომპანიის აქციონერების გადაწყვეტილების საფუძველზე.

ვალდებულებებისა და ანარიცხების რეზერვები. ვალდებულებებისა და ანარიცხების რეზერვები წარმოადგენს გაურკვეველი ვადის ან თანხის არაფინანსურ ვალდებულებებს. მათი დარიცხვა ხდება მაშინ, როდესაც კომპანიას გააჩნია იურიდიული თუ კონსტრუქციული ვალდებულება წარსული მოვლენების შედეგად, არსებობს იმის შესაძლებლობა, რომ ვალდებულების დასარეგულირებლად იქნება საჭირო ეკონომიკურ სარგებლის შემცველი რესურსების გადინება და შესაძლებელია ვალდებულებების თანხის სანდოდ შეფასება. რეზერვების შეფასება ხდება იმ ხარჯების მიმდინარე ღირებულებით, რომლებიც, როგორც მოსალოდნელია, იქნება აუცილებელი ვალდებულების დასაფარად დაბეგრამდე განაკვეთის გამოყენებით, რომელიც ასახავს ვალდებულებისთვის დამახასიათებელ ფულის დროში ღირებულებასა და რისკების მიმდინარე საბაზრო შეფასებას. რეზერვის გაზრდა დროთა განმავლობაში ექვემდებარება აღიარებას საპროცენტო ხარჯების

შემოსავლის აღიარება. შემოსავლად ითვლება კომპანიის ჩვეულებრივი საქმიანობისას წარმოშობილი შემოსავალი. შემოსავალი აღიარდება ტრანზაქციის ფასის ოდენობით. ტრანზაქციის ფასი არის იმ ანაზღაურების ოდენობა, რისი მიღების უფლებაც კომპანიას ექნება კლიენტისათვის შეპირებულ საქონელზე ან მომსახურებაზე კონტროლის გადაცემის სანაცვლოდ, ფასდათმობებისა და მესამე მხარის სახელით/სასარგებლოდ მიღებული თანხების გამოკლებით.

შემოსავალი ნომრებიდან აღიარდება, ნომრის დაკავების შემთხვევაში, სტუმრის მიერ აღებული ღამეების რაოდენობის მიხედვით.

საკონფერენციო დარბაზების გაქირავებით მიღებული შემოსავალი აღიარდება კლიენტებისათვის მომსახურების გაწევისას.

საკვებისა და სასმელის გაყიდვით მიღებული შემოსავალი აღიარდება კლიენტის მიერ პროდუქტის მიღებისას.

შემოსავალი სხვა გაწეული მომსახურებიდან სრული შემოსავლის ანგარიშგებაში აღიარდება მომსახურების გაწევის საანგარიშგებო პერიოდში

საპროცენტო შემოსავალი. საპროცენტო შემოსავალი აღირიცხება ყველა სავალ ინსტრუმენტისთვის დარიცხვის საფუძველზე ეფექტური საპროცენტო განაკვეთის გამოყენებით. ამ მეთოდით საპროცენტო შემოსავლის ფარგლებში გადავადდება კონტრაქტის მხარეების მიერ მიღებული ყველა საკომისიო, რაც ეფექტური საპროცენტო განაკვეთის შემადგენელი ნაწილია, ასევე ყველა სხვა პრემია ან ფასდაკლება

თანამშრომელთა ანაზღაურება. ხელფასები, ანაზღაურებადი წლიური შვებულება და შვებულება ავადმყოფობის გამო, პრემიები და სამედიცინო დაზღვევა ირიცხება იმ წელიწადში, როდესაც კომპანიის თანამშრომელთა მიერ მოხდა მათთან დაკავშირებული მომსახურებების გაწევა.

ცალკეული ფინანსური ანგარიშგების შესწორება გამოშვების შემდეგ. წინამდებარე ფინანსური ანგარიშგების ნებისმიერი ცვლილება გამოშვების შემდეგ მოითხოვს კომპანიის მენეჯმენტის თანხმობას, რომელმაც დაამტკიცა ეს ცალკეული ფინანსური ანგარიშგება გამოსაშვებად

4 ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალებების საბალანსო ღირებულებების ცვლილება მოცემულია ცხრილში:

	ოფისის აღჭურვილობა და სხვა ინვენტარი	ჯამი
საბალანსო ღირებულება 1 იანვარი 2018	1,026	1,026
თვითღირებულება 31 დეკემბერი 2018 დაგროვილი ცვეთა	4,433 (1,344)	4,433 (1,344)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2018	3,089	3,089
დამატება წლის ცვეთის ხარჯი	16,060 (3,371)	16,060 (3,371)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	15,778	15,778
თვითღირებულება 31 დეკემბერი 2019 დაგროვილი ცვეთა	20,493 (4,715)	20,493 (4,715)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2019	15,778	15,778
თვითღირებულება 31 დეკემბერი 2020 დაგროვილი ცვეთა	21,933 (10,577)	21,933 (10,577)
საბალანსო ღირებულება 31 დეკემბერი 2020	11,356	11,356

5 ფული და ფულის ეკვივალენტები

	31 დეკემბერი 2020	31 დეკემბერი 2019
ნაღდი ფული	2,686	11,053
ფული საბანკო ანგარიშზე	23,117	217,965
სულ ფული და ფულის ეკვივალენტები	25,803	229,019

6 შემოსავალი კატეგორიების მიხედვით

	2020	2019
შემოსავალი ნომრებიდან და საკონფერენციო დარბაზებიდან	764,037	2,754,612
საკვებისა და სასმელის გაყიდვა	203,272	477,531
სხვა	74,774	155,354
სულ შემოსავალი	1,042,083	3,387,497

7 სხვა საოპერაციო ხარჯები

	2020	2019
მარაგების ხარჯი	422,683	904,509
საკონსულტაციო და პროფესიული მომსახურება	84,207	322,585
მარკეტინგის ხარჯი	22,322	70,808
სხვა ხარჯი	133,303	298,152
სულ სხვა საოპერაციო ხარჯი	662,515	1,596,054

8 საანგარიშგებო პერიოდის შემდგომი მოვლენები

საანგარიშგებო პერიოდში COVID-19 პანდემიამ გავლენა იქონია შემოსავლებზე.